



საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 42

21 აპრილი 2020 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020 წლის 18 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/570 მომართვაზე (სარეგისტრაციო №30) - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას შესაბამისი დოკუმენტაციის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020 წლის 18 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/570 მომართვაზე (სარეგისტრაციო №30) - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას შესაბამისი დოკუმენტაციის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106¹ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106² მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106³ მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 21 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას შესაბამისი დოკუმენტაციის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2020 წლის 18 მარტამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 29 თებერვლამდე.
5. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას შესაბამისი დოკუმენტაციის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ გადაეცეს განსახილველად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიას.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარეს – ბადრი ხურციას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი - ვეფხვია რუსიას.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე:



ბადრი კალანდარიშვილი